IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საინფორმაციო ბიულეტენი

ივნისი, 2017

IDFI-ის აღმასრულებელი დირექტორი ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მმართველი კომიტეტის წევრად აირჩიეს

შემრჩევ კომიტეტს ჰქონდა ურთულესი ამოცანა, მთელი მსოფლიოდან 29 წარმატებული და მოტივირებული განმცხადებელი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლიდან შეერჩია 10 კანდიდატი, ისე, რომ გამოცდილების, ექსპერტული ცოდნისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით დაეცვა რეგიონული ბალანსი მმართველი კომიტეტის შემადგენლობაში.

შემრჩევი კომიტეტის წევრებმა – 2-მა თემაზე მომუშავე მოხალისემ, უნდრალ გომბოდორჯი (დემოკრატიული განათლების ცენტრის დირექტორი, მონღოლეთი), ლორა ნიუმანი (ინფორმაციაზე გლობალური ხელმისაწვდომობის პროგრამის დირექტორი, Carter Center, ამერიკა), მუკელანი დიმბა (OGP-ის მმართველი კომიტეტი), აიდან ეიაკუზე (OGP-ის მმართველი კომიტეტი) და პოლ მაასენი (OGP-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დირექტორი)– თითოეული კანდიდატის საქმე ინდივიდუალურად შეაფასეს გამოყენებით: 1. ლიდერობის უნარი; 2. დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა; 3. სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების გააზრებისა და წარმოჩენის უნარი.

იხილეთ მეტი

საჯარო სამსახურის რეფორმა შეფერხებით მიმდინარეობს

საჯარო სამსახურის რეფორმა საქართველოში მიმდინარე მმართველობითი რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. გარდა იმისა, რომ საჯარო სამსახურის რეფორმა საქართველოს და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების მნიშვნელოვანი ნაწილია, ის ასევე წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ოთხ-პუნქტიანი გეგმის სტრატეგიულ ამოცანასაც. თუმცა, რეფორმის მიმდინარეობის პროცესში არსებობს რამდენიმე გამოწვევა, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ მის წარმატებულ და ხარისხიან განხორციელებაზე.
იხილეთ მეტი

საპატრულო პოლიციის საჯარიმო პოლიტიკა 2013 – 2016

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 2017 წელს საქართველოს ხელისუფლებამ, არასამთავრობო სექტორის ჩართულობით, განახორციელა მთელი რიგი საკანონდმებლო ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში საგზაო უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესებას. IDFI იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის კონტროლთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების შედეგიან აღსრულებას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ქცევისა და საგზაო უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას.
იხილეთ მეტი

ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით დაგეგმილი ცვლილებები კორუფციულ რისკებს შეიცავს

IDFI-ის მოსაზრებით, ცვლილების ამ სახით დამტკიცება საფრთხეს შეუქმნის საჯარო უწყებების მიმართ თანასწორი მიდგომის პრინციპს. კანონპროექტი უთანასწორო მიდგომას აყალიბებს თავად საბჭოს წევრების მიმართაც, და ზღუდავს საჯაროობის და ანგარიშვალდებულების პრინციპების გავრცელებას საჯარო უწყების მმართველი საბჭოს წევრებზე. ცვლილება, ასევე უარყოფით გავლენას ახდენს თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი კორუფციული სამართალდარღვევების პრევენციის საკითზე.

IDFI-ის მოსაზრებით ყველა დაინტერესებულ მხარესთან საჭირო კონსულტაციების გავლის გარეშე ამ ცვლილების მიღება გამორიცხავს მასთან დაკავშირებული რისკების შესწავლის

შესაძლებლობას და ქმნის ნეგატიურ პრეცედენტს. აქედან გამომდინარე, IDFI-ი მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს არ დაუშვას „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონში წარდგენილი ცვლილების მიღება მისი რისკების გაანალიზებისა და მხარეთა ჩართულობის გარეშე. უზრუნველყოს ღია და გამჭვირვალე პროცესი ყველა იმ ცვლილებების მიღებამდე, რაც ქვეყანაში კორუფციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზანს ემსახურება.

[იხილეთ მეტი]

IDFI-მ თელავში გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებით საჯარო ლექცია გამართა

ლექციის მიზანი იყო გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. ღონისძიება გაიმართა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მონაწილეთა შორის იყვნენ სტუდენტები, აკადემიური წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციათა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

საჯარო ლექციაზე IDFI-ის ანალიტიკოსმა მარიამ თუთბერიძემ ისაუბრა მდგრადი განვითარების 17 მიზანზე და იმ როლზე, რომელიც თითოეულმა ადამიანმა უნდა შეასრულოს სიღარიბის დასაძლევად, პლანეტის დასაცავად და კეთილდღეობის ყველასათვის უზრუნველსაყოფად. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახურის მრჩეველმა ანა კვერნაძემ დამსწრეებს გააცნო საქართველოს მთავრობის მიერ ამ ინიციატივის ფარგლებში შემუშავებული გეგმა.

[იხილეთ მეტი]

სრულდება თუ არა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი?

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2017 წელს იური ლუჟკოვის პასუხისმგებაში არ მიცემის დასაბუთება მიუთითებს მხოლოდ, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დამრღვევ პირთა აღრიცხვის არაეფექტურობაზე. თუმცა, ეჭვებს აჩენს ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ IDFI-ის არ მიაწოდა 2009 წლიდან დღემდე ე.წ. შავ სიაში აღრიცხული თანამდებობის პირების შესახებ ინფორმაცია, მათი სიაში შეყვანის თარიღის მითითებით, შესაბამისად უცნობი დარჩა იყო თუ არა იური ლუჟკოვი შეყვანილი შავ სიაში, როცა მან საზღვარი გადმოლახა.

ასევე პრობლემურია, ის გარემოება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ მოგვაწოდა 2009-2016 წლებში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დარღვევაში ეჭვმიტანილი პირების საქართველოს საზღვარზე დაკავების ან/და საზღვარზე შემოსვლის აკრძალვის შემთხვევების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნული აჩენს მნიშვნელოვან კითხვებს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის აღსრულების პროცესში შესაბამისი პოლიტიკური ნების არ არსებობის შესახებ.
[იხილეთ მეტი]

[რატომაა მდგრადი განვითარების მიზნები მნიშვნელოვანი?]

მდგრადი განვითარების მიზნებზე (SDG-ებზე) ერთ-ერთი ყველაზეხშირად დასმული კითხვაა არის ის, თუ რატომაა საჭირო კიდევ ერთი ჩარჩო, როდესაც არსებობს საერთაშორისო კონვენციები, ეროვნული დონის პოლიტიკები და სტრატეგიები, რომლებიც 2030 წლის დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებს აგვარებენ.

მიუხედავად მუდმივი დავისა ათასწლეულის განვითარების მიზნებზე და იმაზე, თუ რამდენად იყო მათი განხორციელება შესაძლებელი და რელევანტური ყველა მონაწილე ქვეყნისთვის, ამ პროცესიდან გამოტანილი მნიშვნელოვანი გაკვეთილი ის არის, რომ დროში შეზღუდული, უნივერსალური მიზნების არსებობა შედეგად საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო დიდ მობილიზაციას იწვევს, აძლიერებს თანამშრომლობას მთავარ მონაწილე პირებს შორის სხვადასხვა სექტორიდან, ქვეყნიდან და რეგიონიდან, ხელს უწყობს ინოვაციას, და საექსპერტო ცოდნის და გამოცდილების გაზიარებას.
[იხილეთ მეტი]

[IDFI-მ ინტერნეტ რეგულაციების შესახებ საჯარო დისკუსია გამართა]

2017 წლის 15 ივნისს, IDFI-ის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა ონლაინ კონტენტის დაბლოკვის, გაფილტვრისა და მოხსნის რეგულაციების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფო და კერძო სექტორის, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
[იხილეთ მეტი]

[თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და საგადასახადო საიდუმლოება - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე IDFI შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ]



IDFI-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციისა და საკანონმდებლო აქტების ანალიზის შემდეგ სასამართლომ დაასკვნა, რომ ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოში არსებული თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შემოწმებისა და შემოწმების ამსახველი დასკვნების/ოქმების შესახებ არ წარმოადგენს საგადასახადო საიდუმლოებას; შესაბამისად, შემოსავლების სამსახურს დაეკისრა ვალდებულება, სრულად გასცეს აღნიშნული ინფორმაცია.

ვიმედოვნებთ, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ სრულად იქნება გაზიარებული სასამართლოს მსჯელობა მოცემულ საკითხზე და უმოკლეს ვადებში დაკმაყოფილდება ჩვენი მოთხოვნა, მივიღოთ ინფორმაცია საქართველოს ტეროტორიაზე მოქმედი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შემოწმების შესახებ.

[იხილეთ მეტი]

მოსაზრებები „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით

როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი ბოლო პერიოდში საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობდა მუშაობა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების ტექსტთან დაკავშირებით. დღეს, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომელის თანახმადაც აღნიშნული კანონპროექტი უკვე არის დარეგისტრირებული პარლამენტში განსახილველად.

[იხილეთ მეტი]